N 242 28/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ამირან გიგინეიშვილის მოსახლეობასთან შეხვედრის და

2018 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 27. 06. 2019 წელი 15:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს წევრი და ამასთანავე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს წევრი ამირან გიგინეიშვილი, მერის წარმომადგენელი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ვასილ ბურძგლა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპრციალისტი გურამ ბოლქვაძე და სოფელ ჯურუყვეთის ადგილობრივი მაცხოვრებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ამირან გიგინეიშვილმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მათთან შესახვედრად და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად მის მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. აღნიშნა, რომ მისი, როგორც საკრებულოს წევრის მიზანს წარმოადგენს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს 2018 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულს საქმეთა კომისიაში.

სულ საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს სხდომებში 18-ჯერ, ასევე საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანებით დაესწრო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 (ცხრა) სხდომას, ხოლო სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას - 4 ჯერ.

საკრებულოს წევრმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა იმ პროექტებზე, რომელიც 2018 წელს ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა, როგორც საქართველოს მთავრობით, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით. კერძოდ;

- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კვაჭაძეების უბანში, გაკეთდა გზა, რომელიც გარე სამყაროს იყო მოწყვეტილი;
- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ ჯურუყვეთში გაკეთდა გარე განათების 53 სანათი 12 ახალი ბოძით;
- სოფელ ეწერზე მოეწყო 35 სანათი 11 ახალი ბოძით;
- სოფელ ბაღლეფში მოეწყო 19 სანათი, 19 ახალი ბოძით;
- ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა წყლის პროექტი, რომელიც 214 ოჯახს მოიცავს;

2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 21 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალა(სახლის სახურავი).

რაც შეეხება 2019 წელს მიმდინარეობს სოფელ ჯურუყვეთის ადმინისტრაციული შენობის გადახურვა-გარემონტება.

საკრებულოს წევრმა ამირან გიგინეიშვილმა მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, სთხოვა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შესახებ.

შეხვედრაზე მოსახლეობის მხრიდან დაისვა შემდეგი პრობლემური საკითხი:

ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის მთავარ პრობლემას წარმოადგენს წყლის საკითხი. მოსახლეობა არის უკიდურეს მდგომარეობაში, ვინაიდან რამდენიმე უბანს არ მიეწოდება წყალი. დაზიანებულია წყლის სათავე-ნაგებობა. მოსახლეობისთვის გაუგებარია რატომ ვერ მოხდა წლების განმავლობაში სოფლისთვის წყლის მიწოდების აღდგენა, მაშინ როცა სოფელში ცენტრალური მაგისტრალი გადის. ადგილობრივები ამ პრობლემური საკითხის მოსაგვარებლად დახმარებას ითხოვს, რაზეც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მოსახლეობას პრობლემის შეძლებისდაგვარად მოგვარება დაპირდა.

პატივისცემით,

ამირან გიგინეიშვილი

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები